სათაური: მითების შედარებითი დახასიათება

ავტორი/ავტორთა ჯგუფი: ლევან ახვლედიანი

მიზანი: აქტივობის მიზანია, მოსწავლეებში განვავითაროთ წყაროების შედარებითი ანალიზი მითოლოგიური გადმოცემების მაგალითზე.

ანოტაცია: ჩვენს სახელმძღვანელოებში ნაკლები ყურადღება ეთმობა ზოგადად რელიგიებსა და კონკრეტულად მითოლოგიის საკითხებს, თუმცა ყველას კარგად მოეხსენება, რომ როგორც რელიგიებს, ასევე მითოლოგიას უდიდესი როლი ენიჭებათ კაცობრიობის განვითარების საქმეში. ამიტომ, ამ თეთრი ლაქის შესავსებად, წარმოგიდგენთ მითოლოგიის ნიმუშებსა და მათ გასაანალიზებლად შესაბამისს სავარჯიშოებს/აქტივობებს.

დოკუმენტი მოიცავს სხვადასხვა (ოთხი) ქვეყნის მითს სამყაროსა და ადამიანის შექმნის შესახებ. მითებს თან ერთვის რამდენიმე ნაბიჯი (სავარჯიშო) . პირველი ნაბიჯის მიზანია იმ საერთო შეკითხვებზე პასუხის გაცემა, რომელიც ზოგადად მითებისთვისაა დამახასიათებელი. მეორე ნაბიჯი ითვალისწინებს მითებში მოცემული ეტაპების ქრონოლოგიური პრინციპით დალაგებას. მესამე ნაბიჯი რუკაზე მუშაობისთვისაა განკუთვნილი. მეოთხე ნაბიჯი მითების ურთიერთშედარებასა და ტიპოლოგიური თვალსაზრისით მათ დაჯგუფებას მოითხოვს. საბოლოოდ, მოსწავლეები, პოსტერის სახით, ქმნიან პროდუქტს, რომელიც მითების „გაცოცხლებას“ ეხება.

კატეგორია: საშუალო საფეხური - X კლასი. სავარჯიშო (აქტივობა)

მასწავლებლების საყურადღებოდ!

ამ აქტივობების განსახორციელებლად მოსწავლეებმა შეიძლება იმუშაონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. წარმოდგენილ გზამკვლევში მოცემულია სავარაუდო პასუხები (ცხრილები შევსებულია). მოსწავლეებისთვის განკუთვნილ აქტივობების პასუხები არ არის.
გისურვებთ წარმატებას!!!

დავალება: ყურადღებით გაეცანით ქვემოთ მოცემულ **სამუშაო ფურცლებს N1, N2, N3, და N4**

სამუშაო ფურცელი N 1

ბიბლია სამყაროსა და ადამიანის შექმნის შესახებ

დღე პირველი

1. დასაბამად შექმნა ღმერთმა ცა და ქვეყანა.
2. ხოლო ქვეყანა იყო უხილავი და გაუმზადებელი, და ბნელი იყო უფსკრულზე, და სული ღვთისა მიმოიქცეოდა წყალზე.
3. და თქვა ღმერთმა: იქმნას ნათელი. და იქმნა ნათელი.
4. და იხილა ღმერთმა ნათელი, რომ კარგია. და გაყო ღმერთმა ერთმანეთისაგან ნათელი და ბნელი.
5. და უწოდა ღმერთმა ნათელს დღე და ბნელს უწოდა ღამე.

დღე მეორე

6. და თქვა ღმერთმა: იქმნას სამყარო წყლის შუაში და იყოს გამყოფი წყალსა და წყალს შორის. და იქმნა ასე.
7. და შექმნა ღმერთმა სამყარო, და გაყო ღმერთმა ერთმანეთისაგან წყალი, რომელიც იყო სამყაროს ქვემოთ, და წყალი სამყაროს ზემოთ.
8. და უწოდა ღმერთმა სამყაროს ცა. და იხილა ღმერთმა, რომ კარგია.

დღე მესამე

9. და თქვა ღმერთმა: შეიკრიბოს წყალი ცის ქვეშ ერთ შესაკრებელში, და გამოჩნდეს ხმელეთი. და იქმნა ასე. და შეიკრიბა წყალი ცის ქვეშ თავის შესაკრებლებში, და გამოჩნდა ხმელეთი.
10. და უწოდა ღმერთმა ხმელეთს მიწა და წყალთა ნაკრებს უწოდა ზღვები. და იხილა ღმერთმა, რომ კარგია.
11. და თქვა ღმერთმა: აღმოაცენოს მიწამ მცენარეული ბალახი, თესლის მთესველი, და ხე ნაყოფიერი, ნაყოფის გამომღები.
12. და გამოიღო მიწამ მცენარეული ბალახი, თესლის მთესველი, ხე ნაყოფიერი, ნაყოფის გამომღები. და იხილა ღმერთმა, რომ კარგია.

დღე მეოთხე

13. და თქვა ღმერთმა: იქმნას მნათობები ცის სამყაროში გასანათებლად ქვეყნისა, გასაყოფად ერთმანეთისაგან დღისა და ღამისა და იყვნენ ნიშნებად და დროებად და დღეებად და წელიწადებად,
14. და იყვნენ გასანათებლად ცის სამყაროში, რათა ანათებდნენ ქვეყანაზე. და იქმნა ასე.
15. და შექმნა ღმერთმა ორი დიდი მნათობი: დიდი მნათობი - დღის განმგებლად და მცირე მნათობი - ღამის განმგებლად, და ვარსკვლავები.
16. და დაადგინა ისინი ღმერთმა ცის სამყაროში, რათა ანათებდნენ ქვეყანაზე.
17. და განაგებდნენ დღეს და ღამეს და ყოფდნენ ერთმანეთისაგან ნათელსა და ბნელს. და იხილა ღმერთმა, რომ კარგია.

დღე მეხუთე

18. და თქვა ღმერთმა: გამოიღოს წყლებმა ქვეწარმავლები ცოცხალი სულით და ფრინველები, რომლებიც იფრენენ ქვეყანაზე, ცის სამყაროს შესაბამისად. და იქმნა ასე.
19. და შექმნა ღმერთმა დიდი ვეშაპები და ყოველი სული ცოცხალ ქვეწარმავალთა და ყოველი ფრთოსანი ფრინველი. და იხილა ღმერთმა, რომ კარგია.

20. და აკურთხა ისინი ღმერთმა და თქვა: აღორძინდით და გამრავლდით და აავსეთ წყლები ზღვებში, და ფრინველები გამრავლდნენ ქვეყანაზე.

დღე მეექვსე

21. და თქვა ღმერთმა: გამოიღოს ქვეყანამ ცოცხალი სული, ოთხფეხნი და ქვეწარმავალნი და მხეცები ქვეყნისა. და იქმნა ასე.
22. და შექმნა ღმერთმა მხეცები ქვეყნისა და პირუტყვი და ყოველი ქვეწარმავალი. და იხილა ღმერთმა, რომ კარგია.
23. და თქვა ღმერთმა: შევქმნათ კაცი ჩვენი ხატისაებრ და მსგავსებისაებრ, და მთავრობდეს ზღვის თევზებზე და ცის ფრინველებზე და პირუტყვზე და მთელს ქვეყანაზე და ყველა ქვეწარმავალზე, რომელიც დახოხავს მიწაზე.
24. და შექმნა ღმერთმა კაცი, ღვთის ხატისაებრ შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი.
25. და აკურთხა ისინი ღმერთმა და თქვა: აღორძინდით და გამრავლდით და აავსეთ ქვეყანა და დაეუფლეთ მას და იმთავრეთ ზღვის თევზებზე და ცის ფრინველებზე და ყველა პირუტყვზე და მთელს ქვეყანაზე და ყველა ქვეწარმავალზე, რომელიც დახოხავს მიწაზე.
26. და თქვა ღმერთმა: აჰა, მოგეცით თქვენ ყველა დასათესი მცენარე, თესლის მთესველი, რომელიც არის მთელი მიწის ზედაპირზე, და ყველაზე, რომელსაც აქვს თავის თავში ნაყოფი დასათესი თესლისა, - თქვენთვის იქნება საჭმელად
27. და ქვეყნის ყველა მხეცისთვის და ცის ყველა ფრინველისთვის და ყველა ქვეწარმავლისთვის, რომელიც დახოხავს მიწაზე, რომელსაც აქვს თავის თავში სიცოცხლე სული, ყველა მწვანე მცენარე იქნება საჭმელად. და იქმნა ასე.
28. და იხილა ღმერთმა ყოველივე, რაც შექმნა, და აჰა, კარგია ძლიერ.

სამუშაო ფურცელი N 2

მაზდეანები[1] სამყაროსა და ადამიანის შექმნის შესახებ

მაზდიანები თვლიან, რომ დასაწყისში არაფერი არსებობდა, გარდა უსასრულო დროსი, რომელსაც ზერვანი ერქვა. მასში იმყოფებოდა კეთილი ღმერთი აჰურა მაზდა და ბოროტი ღმერთი აჰრიმანი. აჰრიმანის საუფლო წყვდიადის სიღრმეებში (ქვესკნელში) იყო. აჰურა მაზდას არსებობის შესახებ ბოროტების ღმერთმა არაფერი იცოდა. მათ შორის დიდი სიცარიელე იყო. სიკეთის ღმერთი, გასხივოსნებული უსასრულო, შეუცნობელი ნათლით, სათნოებით, სიკეთითა და სიბრძნით ამ სიცარიელის ზემოთ იმყოფებოდა. მან იცოდა, რომ ქვესკნელში არსებობდა დამანგრეველი სული (არიმანი), რომელიც 3 ათასი წლის მანძილზე ვერ გაიგებდა მისი არსებობის შესახებ და ამიტომაც ვერაფერს მოიმოქმედებდა მის წინააღმდეგ. თუმცა, მომავალში ის დაინახავს კეთილი ღმერთის ბრწყინვალებას და გადაწყვეტს თავდასხმას. მაშინ სიკეთე და ბოროტება შეურიგებელ ბრძოლაში ჩაებმებიან. ეს ბრძოლა მრავალ ათასს წელს გაგრძელდება. მასში ჩაბმული იქნება ყველა და ყველაფერი, ისინი ვინც და რაც ჯერ კიდევ არ იყვნენ შექმნილნი: ციური სხეულები, სტიქიები, ცხოველები და რაც მთავარია - ადამიანი. პირველ რიგში, სწორედ ადამიანები დაიცავენ და განამტკიცებენ სიკეთეს მართალი საქმეებით ან ხელს შეუწყობენ ბოროტების გავრცელებას ცოდვილი ცხოვრებით.
აჰურა მაზდამ დაიწყო მომავალი ბრძოლისთვის მზადება.
პირველ ყოვლისა, მან შექმნა სულები (იდეები), რომლებიც მომავალში კეთილი არსებებისა და მოვლენების სხეულს შეიძენდნენ: ცის, ხმელეთის, წყლის, ცეცხლის, მცენარეების, ცხოველების, ადამიანის, მოციქულ ზარატუშტრას და სხვა.

[1] ეს არის ძველი ირანული რელიგია, რომელიც სხვადასხვა სახელით მოიხსენიება: მაზდეანობა, ზოროასტრიზმი და ცეცხლთაყვანისმცემლობა. პირველი სახელი მომდინარეობს უზენაესი ღმერთის - აჰურა მაზდასგან. ზოროასტრიზმი ბერძნული სახელწოდებაა, რომელიც ამ რელიგიის მქადაგებლის ზარატუშტრას (ბერძ. ზოროასტრი) უკავშირდება. ცეცხლთაყვანისმცემლობას ამ რელიგიის მიმდევრებს უწოდებენ იმის გამო, რომ მათთვის ცეცხლი წმინდა სტიქიას წარმოადგენდა და მათ სალოცავებში მუდამ ენთო.

3 ათასი წლის შემდეგ, არიმანი ამოვიდა წყვდიადის სიღრმეებიდან და მოინდომა სიკეთის ღმერთთან შებმა. აჰურა მაზდამ შესთავაზა მას, რომ დამორჩილებოდა სინათლეს და ერთად ეკეთებინათ კეთილი საქმეები, მაგრამ ბოროტების ღმერთს მხოლოდ ბრძოლა და ყველაფრის განადგურება სწყუროდა. მიუხედავად იმისა, რომ ომი გამოცხადდა, არიმანი შეშინებული იყო სიკეთის სიდიადითა და ძლევამოსილებით. ამიტომ მომავალი 3 ათასი წელი ის ისევ წყვდიადს დაუბრუნდა, რამაც აჰურა მაზდას საშუალება მისცა დაუბრკოლებლად შეექმნა სამყარო.

პირველად, მან შექმნა უკვდავი, წმინდა სულები - აჰურები. არც არიმანი იყო ხელდაკრეფილი. მანაც შექმნა ბოროტი სულები, დევები (ქართულ ზღაპრებში ნახსენები დევები მაზდიანური დევებისგან არიან წარმოშობილნი), რომლებიც მას აჰურების წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა დახმარებოდნენ.

მეორე, რაც აჰურა მაზდამ შექმნა იყო მატერიალური სამყარო. ჯერ - ცა, შემდეგ - წყალი, ხოლო შემდეგ - მიწა. აჰურამ მიწა ცის შუაში მოათავსა, რომელიც აბსოლუტურად სწორი იყო და რომელიც ერთი მესამედით გრანიტისგან, ერთი მესამედით ქვიშისგან, ხოლო ერთი მესამედით თიხისა და ნაყოფიერი ველებისგან შედგებოდა. მიწას ირგვლივ წყალი ერტყა.

მესამე ქმნილება გახლდათ ცაზე, უკიდეგანო სინათლესა და მიწას შორის, უძრავი ვარსკვლავები, მათ ზევით მთვარე, ხოლო უფრო ზევით მზე, რომელსაც მხოლოდ აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ჰქონდა მოძრაობის უფლება.

ასე, რომ სამყარო სამ ნაწილად დაიყო:

1. მზის და ცის ზემოთ იყო აჰურა მაზდას სამყოფელი - სამოთხე, უსასრულო სინათლისა და სიკეთის სამეფო;
2. ქვემოთ, ქვესკნელი - ჯოჯოხეთი, არიმანის სამყოფელი - ბოროტებისა და წყვდიადის სამეფო;
3. შუაში, სადაც ადრე სიცარიელე იყო, იყო ცა და დედამიწა, სადაც უნდა გამართულიყო გადამწყვეტი ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის.

რიგით მეოთხე, რაც აჰურა მაზდამ შექმნა იყო მცენარეები.

მეხუთე, სიკეთის ქმნილებათაგან იყო პირველქმნილი, თეთრი ხარი.

ხოლო მეექვსე და უკანასკნელი ქმნილებათაგან იყო ადამიანი. ხარი და ადამიანი აჰურა მაზდამ მიწისგან შექმნა.

სამუშაო ფურცელი N 3

ინდოელები სამყაროსა და ადამიანის შექმნის შესახებ

დასაწყისში არაფერი იყო, გარდა უძრავი, პირველქმნილი ქაოსისა, რომელიც საკუთარ თავში მხოლოდ უდიადეს ძალებს აერთიანებდა.

ამ ქაოსიდან წყლები აღმოცენდნენ. წყალმა გააჩინა ცეცხლი. ცეცხლისგან წარმოქმნილ სითბოში ჩაისახა ოქროს კვერცხი. რადგანაც ჯერ-ჯერობით არ იყო არც მზე, არც მთვარე და არც ვარსკვლავები, ამიტომაც არ არსებობდა დრო, რადგანაც მისი გაზომვა და გამზომი არ არსებობდა. კვერცხი ცურავდა უკიდეგანო და ქაოსურ ოკეანეში. დიდი დროის გასვლის შემდეგ, კვერცხიდან გამოიჩეკა ღმერთი ბრაჰმა. მან გატეხა ეს კვერცხი; ზედა ნაწილისგან შეიქმნა ცა, ხოლო ქვედა ნაწილისგან - დედამიწა, ხოლო მათ შორის ბრაჰმამ ჰაერი მოათავსა. შემოქმედმა დაადგინა ქვეყნის მხარეები და საფუძველი ჩაუყარა დროს. საკუთარი აზრის მეშვეობით, ბრაჰმამ გააჩინა 6 უზენაესი ღმერთი და ასევე სხვა ღმერთები და ქალღმერთები. მისი შემოქმედების ბოლო ნამუშევარი იყო ადამიანი, სახელად პურუში. ამის შემდეგ, სამყაროს მართვა ბრაჰმამ ღმერთებს გადასცა, ხოლო თვითონ, მძიმე შრომით დაღლილი, დასასვენებლად წავიდა.

ღმერთებმა პურუში მსხვერპლად შესწირეს. მას გადაასხეს ზეთი და დაწვეს. მისი ტვინისგან შეიქმნა მთვარე, ხოლო თვალისგან - მზე. პირიდან გაჩნდა ცეცხლი, სუნთქვისგან - ქარი.

პურუშის დამწვარი სხეულის ნაწილებისგან წარმოიშვა შინაური ცხოველი: ცხენები, ხარები და ძროხები, ცხვრები და თხები, ასევე ლოცვები და ღმერთების სადიდებელი ჰიმნები. მისი ბაგეებისგან შეიქმნენ ქურუმები, ხელები გახდნენ მეომრები, ხოლო ბარძაყებისგან წარმოიქმნენ მიწათმოქმედნი. ინდური საზოგადოების უმდაბლესი კასტა[2] ტერფებისგან შეიქმნა.

სამუშაო ფურცელი N 4

ჩინელები სამყაროსა და ადამიანის შექმნის შესახებ

დასაწყისში სამყარო წარმოადგენდა უფორმო ქაოსს. ამ ქაოსიდან, სამყაროს ძალების ინისა და იანის დახმარებით, წარმოიშვა კვერცხი, რომელშიც ჩაისახა კაცი - პან გუ.

გავიდა 18 ათასი წელი, რის შემდეგაც პან გუმ გაიღვიძა. უზარმაზარი ნაჯახის მეშვეობით, პან გუმ გამოაცალკევა კვერცხის გული (ინ) ცილისგან (იან) და შექმნა მიწა (ბნელი და მღვრიე - ინ) და ზეცა (ნათელი და გამჭვირვალე - იან).

ყოველ დღე პან გუ იზრდებოდა 3 მეტრით და მიწას სულ უფრო მეტად აშორებდა ზეცას. ყოველ დღე ზეცა 3 მეტრით სცილდებოდა დედამიწას. ასე გრძელდებოდა 18 ათასი წელი, სანამ ზეცამ ძალიან მაღლა არ აიწია, ხოლო პან გუ უზარმაზარი სიმაღლის არ გახდა.

მიაღწია რა მაქსიმალურ სიდიდეს პან გუ გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მისი სუნთქვა გარდაიქმნა ქარად და ღრუბლებად, ხმა - ქუხილად, მარცხენა თვალი - მზედ, მარჯვენა თვალი - მთვარედ. პან გუს კიდურებისა და ჩონჩხისგან წარმოიშვა ქვეყნის ოთხი მხარე და ხუთი უდიდესი მთა, სისხლისგან - მდინარეები, ძარღვებისა და ვენებისგან - დანაოჭებული ლანდშაფტი, ხორცისგან - ნიადაგი, თმებისგან - ვარსკვლავები, ბალნისგან - მცენარეები, კბილებისა და ძვლებისგან - ოქრო და ნეფრიტი[3], ძვლის ტვინისგან - მარგალიტი, ოფლისგან - წვიმა და ნამი, ხოლო მისი ცრემლებისგან - მდინარეები.

არსებობს გადმოცემა, რომ პარაზიტებისგან, რომლებიც პან გუს სხეულსა და თავში იყვნენ, გარდაიქმნენ ადამიანებად.

---

[2]კასტა პორტუგალური სიტყვაა. ინდური საზოგადოება დაყოფილი იყო კასტებად. სულ იყო ოთხი კასტა: 1. ქურუმები; 2. მეომრები; 3. მიწათმოქმედები, ვაჭრები და ხელოსნები; 4. უმდაბლესი კასტა, რომელიც ჭუჭყიან საქმეს ასრულებდა.

[3] მინერალი, ძვირფასი ქვა.

ნაბიჯი 1.

იმუშავეთ ინდივიდუალურად/ჯგუფებში. **ცხრილი N 1** გადახაზეთ თაბახის ფურცელზე/ფლიფჩარტზე. ამის შემდეგ, **სამუშაო ფურცლების N 1, N 2, N 3, N 4** მიხედვით შეავსეთ **ცხრილი N 1**. ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხი წყაროებში არ არის, ამიტომ შესაბამისი გრაფები ცარიელი დატოვეთ.

ცხრილი N 1.

მითები და შეკითხვები	**ბიბლიური მითი**	**მაზდეანური მითი**	**ინდური მითი**	**ჩინური მითი**
ვინ/რა იყო პირველსაწყისი?	ღმერთი, წყვდიადი და წყალი	უსასრულო დრო - ზერვანი და მასში აჰურა მაზდა და არიმანი	პირველქმნილი ქაოსი, რომელიც უდიდესს ძალებს აერთიანებდა	უფორმო ქაოსი, ინი და იანი
ვინ/რამ მისცა ბიძგი სამყაროს გაჩენას?	ღმერთი	აჰურა მაზდა	წყალი	ინი და იანი
ვინ ქმნის მატერიალურ სამყაროს?	ღმერთი	აჰურა მაზდა	ბრაჰმა	პან გუ
მითი ერთღმერთიანია თუ მრავალღმერთიანი?	ერთღმერთიანი	ორღმერთიანი (დუალისტური)	მრავალღმერთიანი	
ვინ გახდა მსხვერპლი სამყაროს გასაჩენისთვის?			პურუში	პან გუ
რისგან წარმოიშვა ადამიანი?	აქ პასუხი არ არის (თუმცა, ბიბლიის შემდეგ მონაკვეთში წერია, რომ ღმერთმა ადამიანი მიწის მტვრისგან შექმნა)	ადამიანი შეიქმნა მიწისგან	პურუშის სხეულის ნაწილებისგან	პანგუს სხეულზე დაბუდებული პარაზიტებისგან
რა როლი დაეკისრათ ადამიანებს?	უნდა გაბატონებულიყვნენ ღმერთის მიერ შექმნილ ყველა მატერიალურ არსებაზე	უნდა დახმარებოდნენ აჰურა მაზდას ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში		

ნაბიჯი 2.

იმუშავეთ ინდივიდუალურად/ჯგუფებში. **ცხრილი N 2** გადახაზეთ თაბახის ფურცელზე/ფლიფჩარტზე. ამის შემდეგ, **სამუშაო ფურცლების მიხედვით N 1, N 2, N 3, N 4** შეავსეთ **ცხრილი N 2**. ქვემოთ მოტანილ ცხრილში ჩამოწერეთ ეტაპები დროის მიხედვით, რომლებიც თითოეულ მითშია აღწერილი. ინდურ და ჩინურ მითებში ეს ეტაპები არ არის ზუსტად განსაზღვრული, ამიტომ მოსწავლეებმა თვითონ უნდა დააჯგუფონ საკუთარი შეხედულებისამებრ. მაგ., ღმერთები და სულები, ციური სხეულები, უსულო საგნები, სულიერი არსებები და სხვა ოღონდ აუცილებლად რიგითობის მიხედვით. ყველა ეტაპი ზოგიერთ მითში მოცემული არ არის, ამიტომ შესაბამისი გრაფები ცარიელი დატოვეთ.

ცხრილი N 2.

მითები და ეტაპები	**ბიბლიური მითი**	**მაზდეანური მითი**	**ინდური მითი**	**ჩინური მითი**
1. ეტაპი	დღე I. ნათელი და ბნელი	წმინდა სულები - აჰურები	წყალი, ცეცხლი	კვერცხი
2. ეტაპი	დღე II. ცა	ცა, მიწა, წყალი	ოქროს კვერცხი	პან გუ
3. ეტაპი	დღე III. მიწა, ზღვა, მცენარეები	მზე, მთვარე, ვარსკვლავები	ბრაჰმა	მიწა, ზეცა
4. ეტაპი	დღე IV. მზე, მთვარე, ვარსკვლავები, დღე - ღამე	მცენარეები	ცა, მიწა, ჰაერი	ქარი, ღრუბლები, ქუხილი, მზე, მთვარე
5. ეტაპი	დღე V ფრინველები, ქვეწარმავლები დიდი ვეშაპი	პირველყოფილი წინდა ხარი	დრო და ქვეყნის მხარეები	ქვეყნის 4 მხარე, 5 უდიდესი მთა, ლანდშაფტი, ნიადაგი, მდინარეები, ვარსკვლავები
6. ეტაპი	დღე VI ცხოველები (ოთხფეხნი) ადამიანი	ადამიანი	ღმერთები და ქალღმერთები	მცენარეები, ძვირფასი ქვები,
7. ეტაპი			პურუში	წვიმა, ნამი
8. ეტაპი			პურუშისგან წარმოიშვა ყველაფერი მატერიალური	ადამიანი

ნაბიჯი 3.

იმუშავეთ ინდივიდუალურად/ჯგუფებში. შემოხაზეთ რუკაზე ის ოთხი ქვეყანა, რომელთა მითებსაც გაეცანით. მონიშვნის შემდეგ მარკერით ან ფანქრით სხვადასხვა ფერით გააფერადეთ ეს ქვეყნები და დააწერეთ სახელწოდებები.

რუკა



ნაბიჯი 4.

იმუშავეთ ინდივიდუალურად/ჯგუფებში. თაბახის ფურცლებზე/ფლიფჩარტზე უნდა გადახაზოთ **ცხრილი N 3** და წყაროებზე დაყრდნობით დააწყვილოთ მითები მათი მსგავსების მიხედვით, ხოლო შემდეგ ცხრილში ჩამოწეროთ ამ წყვილების მსგავსებები რამდენიმე წინადადებით. ამ აქტივობის განხორციელების შემდეგ, მოსწავლემ/ჯგუფებმა პასუხი უნდა გასცენ შემდეგ შეკითხვას: რით არის გამოწვეული ამ მითების მსგავსება? მონაწილეთა პასუხები უნდა იყოს ლოგიკური და არგუმენტირებული.

ცხრილი N3

პირველი წყვილი	**მეორე წყვილი**
მითი მითი	მითი მითი

ნაბიჯი 5

იმუშავეთ ინდივიდუალურად/ჯგუფებში. მოსწავლემ/ჯგუფმა უნდა აიღოს თითო მითი და თაბახის ფურცელზე/ფლიფჩარტებზე შექმნას პოსტერი, რომელზეც გამოსახული იქნება ამ მითის რომელიმე ეპიზოდი. პრეზენტაციის დროს პოსტერის ავტორმა ან ჯგუფის პრეზენტატორმა დეტალურად უნდა ახსნას საკუთარი ნამუშევარი.